ბესიკ ობოლაძე

ინოვაციური უსაფრთხოება კომპლექსური ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში

კატეგორია ,,უსაფრთხოებას" გააჩნია კომპლექსური დისციპლინათშორისი ხასიათი და დღეისათვის დგება აუცილებლობა გამოყენებულ იქნას დისციპლინათშორისი სისტემური მიდგომები უსაფრთხოების საერთო თეორიის შემუშავებისათვის.

ეროვნული უსაფრთხოების კვლევებში საჭიროა დავეყრდნოთ იმ პარადიგმებს, რომლის ფარგლებშიც გამოიყოფა თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის 3 დონე:

-უსაფრთხოების ფილოსოფია;
-უსაფრთხოების საერთო თეორია;
-უსაფრთხოების სპეციალური თეორია.

1) უსაფრთხოების ფილოსოფიურ დონეზე ფორმირდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო სურათი, ფორმულირდება ღირებულებები, ინტერესები და მიზნები , განისაზღვრება უსაფრთხო განვითარების გზები.

2) უსაფრთხოების საერთო თეორია საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო მიდგომების არსი, უსაფრთხოების უზრუნველოფისას მიმდინარე პროცესები და გამოყენებული მექანიზმების ბუნება;

3) უსაფრთხოების სპეციალური თეორია ხსნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსს სხვადასხვა სოციალური სისტემების ფუნქციონირების პირობებში.

ჩვენ განსახილველ საკითხთან მიმართებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია თვითონ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას ისეთი საკითხის შესწავლაში, როგორიცაა ურთიერთკავშირი ორ მუდმივ კატეგორიას შორის- განვითარება და უსაფრთხოება. უსაფრთხოების სისტემა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არც რაოდენობრივ (ევოლუციურ) ,არც ხარისხობრივ (რევოლუციურ) ცვლილებებს, არამედ ხელი შეუწყოს საზოგადოებისა და პიროვნებისათვის სასარგებლო ცვლილებებს (მათთვის ზიანის მიყენების გარეშე), რათა გადაილახოს ცხოვრების მოძველებული ფორმები.

ცნება უსაფრთხოების ახსნა ისეთი ტერმინებით , როგორიცაა ,,დაცვა", ,,დაცულობა" ავიწროებს მის შინაარსს. უსაფრთხოების ფუნქციონალური მახასიათებლები არ შეიძლება დაყვანილ იქნას მხოლოდ გარკვეული ღირებულებების დაცულობამდე. ამიტომ , როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ამა თუ იმ ელემენტის უსაფრთხოებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მისი დაცულობა, არამედ საფრთხის აცილება/მოცილება მისთვის. ამასთანავე დაცულობის ისეთი დონის შენარჩუნება, რომელიც საკმარისი იქნება შესაბამისი ელემენტის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ უნდა განვიხილოთ უსაფრთხოება არა მხოლოდ საფრთხისაგან დაცვის კონტექსტში.

ახლა დავსვათ ლოგიკური კითხვა: ,,ყოველი მოვლენა, რომელიც ემუქრება სხვა მოვლენას, შეიძლება თუ არა განვიხილოთ როგორც საფრთხე?"

თუკი მსჯელობა მიდის არსებული ურთიერთმიმართების შენარჩუნებაზე, არსებული სოციალური სისტემის შენარჩუნებაზე, საფრთხე შეიძლება იყოს ყველაფერი, რაც იწვევს მის ცვლილებებას. შესაბამისად , სოციალური სისტემის უსაფრთხოება ნიშნავს მის დაცულობას შიდა და გარე საფრთხეებისაგან მისი ცვლილების მიზნით. თვალნათელი , რომ უსაფრთხოების ასეთი გაგება ფაქტიური მუხრუჭია განვითარების და საბოლოო ჯამში მივყავართ სისტემის დაშლამდე.

საჭიროა ასევე დაზუსტება ისეთ ტერმინთან მიმართებაში, როგორიცაა ,,საფრთხე ინტერესებისადმი", ,,ინტერესების დაცულობა". ზოგადად დაინტერესების ქვეშ მოიაზრება სუბიექტის ისეთი მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვება მისი მოთხოვნილებიდან. ინტერესი პირველ რიგში ესაა აქსიოლოგიური ცნება, რომელსაც გააჩნია, როგორც სუბიექტური ,ასევე ობიექტური შინაარსი. ინტერესდებიან ზოგადად რაიმე არსებითით, მნიშვნელოვნით, ისეთით, რომლის მიმართაც სუბიექტი არ არის გულგრილი, უფრო ფართო გაგებით ეს შეიძლება იყოს ღირებულებები. შეუძლებელია განვიხილოთ ინტერესი სუბიექტის მოთხოვნილების გარეშე. ინტერესების საფუძველზე ფორმირდება მიზნები, ხდება გადაწყვეტილებების მიღება, იგეგმება საქმიანობა. მთავარია, რომ ,,ინტერესების დაცვა ", როგორც სუბიექტის გაცნობიერებული საჭიროებების დაცვის პრიზმაში არ მოვაქციოთ. უსაფრთხოების თეორიაში ცნება ,,ინტერესების დაცვა" შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ თვალსაზრისით, რომ საჭიროა ინტერესების რეალიზაციის პროცესის დაცვა.

ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მისი სტაბილური შენარჩუნება დიდწილად განისაზღვრება ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების ეფექტური პროცესებით, ეკონომიკის დროული მოდერნიზაციით, მეცნიერების უნარით -მოახდინოს ინოვაციების გენერირება, ტექნოლოგიური სექტორის განახლების ხარისხით, ერის ინტელექტუალური პოტენციალის მდგომარეობით: განათლება, კულტურა და ზოგადად სოციუმის მზადყოფნა განვითარების შემოთავაზებული მიმართულებებით.

განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლისას ცვლილებები ხდება არა მხოლოდ ეკონომიკაში და მის კომპონენტებში, წარმოების სტრუქტურებში, არამედ მსოფლმხედველობით, ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროში, ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში, სახელმწიფოსა და საზოგადოების, პიროვნების განვითარებაში.

ამგვარად ინოვაციური უსაფრთხოების კრიტერიუმები არ შეძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური თუ მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევებით, რადგან ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ საუბარი სამეცნიერო-ტექნიკურ თუ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

მსჯელობა უნდა ეხებოდეს ინოვაციური საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების უსაფრთხოებას, როგორც ისტორიული პროცესის სუბიექტისა.

უსაფრთხოების პრობლემა ყველაზე განზოგადებული სახით ყოველთვის წარმოგვიდგებოდა , როგორც ისტორიულად ცვლადი ამოცანა საზოგადოების განვითარებისა და თვითგადარჩენის პოზიციიდან. ყოველ ისტორიულ ეპოქაში შემუშავდებოდა გარკვეული მიდგომები, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ -უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიები.

ინოვაციური უსაფრთხოების პრობლემის გააზრებისას ამოსავალი პრინციპია ცნება „ინოვაციური უსაფრთხოების" განსაზღვრა და მისი მიმართება ცნება ,,ეროვნული უსაფრთხოების სისტემასთან".

ინოვაციური პოლიტიკის ყველა ასპექტის ანალიზი, მისი (ინოვაციური პოლიტიკა) ფორმირებისას წარმოქმნილი გამოწვევებისა და საფრთხეების განსაზღვრა,აგრეთვე ცნება ეროვნულ უსაფრთხოებასთან და მის ასპექტებთან: (ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა

უსაფრთხოება) მიმართებაში არსებული თეორიული მიდგომების გააზრება, საშუალებას იძლევა მოიძებნოს ცნება ,,ინოვაციური უსაფრთხოების" განმარტება.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი:

1) ინოვაციური უსაფრთხოება თავის განვითარებაში, განსხვავებით ეკონომიკური უსაფრთხოებისაგან, ეფუძნება არა სტატიკურ მიდგომას ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ დინამიკურ ინოვაციურ გარღვევებს.

სტატიკური მიდგომისა და სტატიკური თეორიის საპირწონედ წარმოგვიდგება დინამიურობის თეორია, რომელიც ძირითადად განვითარების თეორიაა და არა ფუნქციონირების.

ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა განვიხილოთ დინამიურობის თეორიის პრიზმაში, სადაც დროის ფაქტორი გავლენას ახდენს მის ცვალებად პარამეტრებზე.

2) ინოვაციური უსაფრთხოება არის კომპონენტი ინოვაციური მართვის პოლიტიკისა, რომელიც ამ პოლიტიკის ეტაპობრივი ფორმირებისას განიცდის პერმანენტულ ზემოქმედებას ახლადაღმოცენებული არასტაბილურობის ელემენტებისა.

სხვადასხვა სიღრმისა და ხანგრძლივობის არასტაბილურობა, როგორც შედეგი პერიოდულად მომხდარი ეპოქალური ცვლილებებისა (ტექნოლოგიური და სოციალური რევოლუციები, ეკონომიკური კრიზისები, მსოფლიო ომები) იწვევს საწარმოო და ადამიანური კაპიტალის მნიშვნელოვან გაუფასურებას სხვა თანმდევ ნეგატიურ პროცესებთან ერთად.

იმისათვის რომ მოხდეს გადასვლა მორიგ ხანგრძლივი ზრდის ტალღაზე დგება საჭიროება ახალი სახელმწიფო პოლიტიკისა, როგორც განვითარების სფეროში, ასევე უსაფრთხოებაში. იგი მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო სტიმულირებაზე პერსპექტიულ მიმართულებებზე საინვესტიციო და ინოვაციური აქტივობისას.

არასტაბილურობის გადასალახავად საჭიროა არა მხოლოდ მისი წარმოშობის მიზეზების მეცნიერული კვლევა, არამედ ისეთი ინოვაციური განვითარება, რომელიც გულისხმობს ეფექტურ, წინმსწრებ ინოვაციურ პოლიტიკას. ბირთვი კი ამ პოლიტიკის უნდა იყოს ინოვაციური უსაფრთხოების ზუსტი ინდიკატორების შემუშავება.

ინოვაციური უსაფრთხოების მნიშვნელობის გააზრება ქვეყნის ინოვაციური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სწორი ინოვაციური პოლიტიკის ფაქტორები და შემუშავდეს ინოვაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტური სტრატეგია.

მან უნდა მოიცვას სახელმწიფო პოლიტიკის ყველა სფერო, პირველ რიგში საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საწარმოო, ფინანსური, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები.

დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკაში , სხვადასხვა ქვეყნებში ჩამოყალიბებულია უსაფრთხოების სხვადასხვა განმარტებები, მათ შორის მისი განსაზღვრება ,,ინტერესების" პრიზმაში (ეროვნული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი), სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი ,,საფრთხეებისა" და ,,საფრთხეების წყაროების" (გამოწვევები, რისკები); უსაფრთხოების დეფინიციაში ყველაზე ხშირად გამოიყენება სინთეზური ვარიანტი, როდესაც ზემოთაღნიშნული მიდგომები ფიგურირებენ განსაზღვრებებში ამა თუ იმ კომბინაციით.

განსხვავებით ეკონომიკური უსაფრთხოებისაგან , ინოვაციურ უსაფრთხოების განსაზღვრებისას უნდა გამოვიდეთ პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციებისადმი მზადყოფნისა და შესაძლებლობების, გნებავთ უნარების კატეგორიიდან. საჭიროა გადასვლა იმ კატეგორიაში , რომელიც გულისხმობს ინოვაციურობას, კრეატიულობას, გენერაციის შესაძლებლობებს და ინოვაციური იდეების ხელშეწყობას, სტაბილურობას და ინოვაციურ მდგრადობას.

ინოვაციური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს კომპონენტებად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ასპექტები:

1) ინტელექტუალური - ქვეყნის ინტელელექტუალური რესურსის, სამეცნიერო და შემოქმედებითი საზოგადოების, მოქალაქეების ინტელექტუალური შრომის რეზულტატების დაცულობის მდგომარეობა რეალურ და პოტენციურ საფრთხეებთან და გამოწვევებთან მიმართებაში; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;

2) სამეცნიერო - ქვეყნის, საზოგადოების , მოქალაქეების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობის მდგომარეობა სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, მეცნიერების უნარი მოახდინოს ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების გენერირება:

3) განათლება - ისეთი განათლების სისტემის (შესაბამისი რგოლების) დაცულობა,რომელსაც გააჩნია პოტენციალი მოამზადოს კადრები ინოვაციური სფეროსთვის.

ადამიანურ ფაქტორს ცენტრალური ადგილი უკავია ინოვაციური პროდუქტის წარმოებაში, წარმოების ინტელექტუალიზაციასა და ინფორმატიკაში, ინოვაციურ უსაფრთხოებაში.

განათლება ძირითადი წყაროა ქვეყნის ინტელექტუალური, კულტურული, პროფესიონალური, საკადრო პოტენციალის ფორმირებისათვის.

4) საწარმოო - ხასიათდება იმ საწარმოო ბაზის არსებობით, რომელსაც გააჩნია მზაობა ინოვაციებისადმი.

5) სოციალურ-დემოგრაფიული - გამოხატავს შრომის ბაზარზე ისეთი სპეციალისტების არსებობასა და განვითარების დონეს, რომელთაც გააჩნიათ უნარი იმუშავონ ინოვაციური ეკონომიკის პირობებში.

ინოვაციური უსაფრთხოების სტრატეგია ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ნაწილია, ინოვაციური უსაფრთხოების სტრატეგია გულისხმობს შემდეგ მიმართულებებს:

1) ეროვნული ინოვაციური სისტემის იმ კრიტერიუმებისა და პარამეტრების განსაზღვრა (რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზღვრული მაჩვენებლები), რომლებიც პასუხობენ მისი უსაფრთხოების მოთხოვნებს;

2) ინოვაციური უსაფრთხოებისადმი საფრთხეების იდენფიკაციის მექანიზმების შემუშავება და ღონისძიებების კომპლექსის დაგეგმვა;

3) საფრთხეების გამოვლინების სფეროების განსაზღვრა (საფრთხეების ლოკალიზაციის სფეროები);

4) საფრთხეების ძირითადი სუბიექტების დადგენა, მათი ფუნქციონირების მექანიზმების განსაზღვრა.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა კვლევების ანალიზით ინოვაციური უსაფრთხოებისადმი საფრთხეების გარკვეული ნაწილი მოდის თვითონ ადამიანის, საზოგადოებრივი სტრუქტურების, ხელისუფლებისა და მმართველობითი ორგანოების კონსერვატორული ბუნებიდან. საფრთხეების გარკვეული ნაწილი განპირობებულია მსოფლიო ინოვაციური ეკონომიკის არათანაბარი განვითარების ხასიათით ქვეყნების მიხედვით. მესამე ჯგუფი საფრთხეებისა განპირობებულია ინოვაციური გარდაქმნების რევოლუციური ხასიათით, რაც ხორციელდება ძველი პოლიტიკური ინსტიტუტების,სტრუქტურების, ტექნოლოგიების ძირეული ცვლილებით.